№ 39 თებერვალი 20, შაბათი 1888 თებერვალი 20, შაბათი № 39

ივერია

1877—1888 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1888

გაზეთი ღირს

თთვე	მან.	კ.	თთვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	70
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ ბებუთოვის ქუჩ., სახლი № 9, ბ-ნ ხიდეკელის საგაზეთოს. გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

„ივერია“

გამოვა 1888 წელსაც იმავე პროგრამითა, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი

ამ 1888 წლისათვის, მიჰმართოს:

ტფილისში ა) თვითონ რედაქციას (ახალ-ბებუთოვის ქუჩა, სახლი ზუბალოვისა, № 9.), ბ) ლ. ბ. ხიდეკელის გაზეთის სააგენტოს (გოლოვინ. პროსპექტი, გიმნაზიის პირდაპირ), გ) „წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიას (ასახლის ქუჩა, სახლი დ. სარაჯიშვილისა, ეზოშივე.)

ქუთაისში: ვარლამ ჭილაძის წიგნის მაღაზიას.

ხონში: ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიას.

ბათუმში: მ. ნათაძეს.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

16 თებერვალს ფაეტონში დამრჩა

თუნუქის ცრუბა,

რომელშიაც შეხვეული პლანები ეწყო. ვინც იპოვა, ვსთხოვ მოიტანოს ნიკოლოზის ქუჩაზე, კუკიაში, სახლის № 101. საჩუქარს 25 მანათს მიიღებს. (2—2)

ტფილისი, 19 თებერვალი

ხშირად შემოგვჩივიან ხოლმე სხვა-და-სხვა ადგილებიდგან, რომ საზოგადოდ სოფლის მოხელეები და განსაკუთრებით მამასახლისები ვერა ჰპატრონობენ და ვერ უძღვებიან სოფელსაო. ასეთი საჩივრე-, რაც დღე მიდის, მით უფრო ბევრი მოგვდის, ასე რომ არ შეიძლება ყურადღება არ ვათხოვოთ. სჩივიან, რომ სოფლის მოხელეებს არავითარი სამართლიანი აზრი არა აქვთ იმის შესახებ, რომ ისინი არიან მოსამსახურენი სოფლისა და არა სოფელი იმათიო. მოხელეები ისე უყურებენ სოფელს, თითქო ეს უკანასკნელი იმათის საჭიროებისათვის იყოს გაჩენილი და თვითონ თითქო იმისთვის იყვნენ ამორჩეულნი, რომ რაც შეიძლება უკეთესად მოაწყონ საკუთარი ყოფა-ცხოვრება და რაც შეიძლება მეტი სამსახური გაუწიონ თავიანთს საჭიროებას. იმათი სამსახური მხოლოდ ისაა, რომ სოფლად უწყებებს არიგებენ დანიშნულებისამებრ და ისიც ზოგჯერ გვიან. ამ მოხელეებს არც რომლისამე საქმის და განკარგულების განმარტება შეუძლიანთ, ასე რომ ზოგჯერ მთავრობის განზრახვასა და აზრს ხელს უშლიან და არც ის შეუძლიანთ, რომ მთავრობას გააგებინონ სოფლის საჭიროება, ავ-კარგიანობა და ამით თავიანთი პირდაპირი მოვალეობა აღასრულონ.

სოფლებიც, რასაკვირველია, შეეჩვივნენ ამ გვარს მოხელეებს და თუმცა ზოგჯერ სჩივიან, რომ კარგს მოხელეებს ვერ ვღირსებივართ, მაგრამ მაინცა-და-მაინც თავი არა სტკივათ, რადგანაც ლამის არის დარწმუნდნენ, რომ სოფელი მოხელეებისათვის არსებობს და არა მოხელეები სოფლისათვის. მართალია, ნათქვამია, სოფელი დონიერიაო, მაგრამ სოფელი ზოგჯერ ძალიან სუსტი და მოუხერხებელი ყოფილა. ასე გასინჯეთ, რომ ხშირად სოფელი ისეთს კაცს ირჩევს მოხელედ, რომლის უვარგისობა წინადაც იცოდა, ირჩევს, რადგანაც იმოდენა ძალა და მოხერხება არ შესწევს, რომ წინააღმდეგობა გაუწიოს ზოგიერთთა ისტატობას და მანქანებას. სოფელი იძულებულია უმეტეს ნაწილად ამოირჩიოს მოხელეებად ისეთი კაცები, რომლებმაც წერა-კითხვა არ იციან და ამიტომაც საშუალებას მოკლებულნი არიან კარგად გაიცნონ სოფლის დებულება და რიგიანად გასჩხრიკონ სოფლის საქმეები, საჩივრები. ამიტომაც არის, რომ მთელის სოფლის საქმე, მოხელეების მოქმედება დამოკიდებულია სოფლის მწერალზე, რომელიც როგორც უნდა, ისე ატრიალებს საქმეებს, მეტადრე მაშინ, თუ იმასა და მოხელეებს შორის კარგი განწყობილება ჩამოვარდა. ასე და ამ გვარად სოფლის ბედი იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად პატიოსანი და გამრჯეა სოფლის მწერალი.

მთავრობამ დიდი ხანია ყურადღება მიაქცია ამ გარემოებას და ძალიანაცა სცდილობს, სოფელს ხელი შეუწყოს რიგიან მოხელეთა ამორჩევაში. მართალია, ამ გვარს ცდას მთავრობისას თან-და-თან მეტი ნაყოფი მოაქვს, მაგრამ რა ჰქნას მთავრობამ იქ, სადაც ზოგჯერ თვით სოფლის მდგომარეობაა იმის მიზეზი, რომ მოხელეები და სოფლის მწერლები სოფელს დაესაკუთრნენ. მართლაც, რა გაეწყობა ამ გარემოებას? თვითონ მთავრობა იმას ვერ იკისრებს, რომ სოფლის არჩევანი რითიმე შეავიწროვოს და საზოგადოებას უფლება ჩამოართვას, რადგანაც მთავრობას ისა აქვს აზრად, რომ საზოგადოებამ საკუთარის წესით იხელმძღვანელოს და თან-და-თან შეეჩვიოს თვითმართველობას.

მაშ რა გაეწყობა სოფლის ასეთს მდგომარეობას? რასაკვირველია, უმთავრესი მიზეზი ამისი ის არის, რომ სოფელში დღეს სწავლა-განათლება ახალი საქმეა, რომ სოფელს ნაკლებადა ჰყავს ისეთი კაცები, რომლებსაც ცოტათი მაინც მოჰფენოდეს განათლების შუქი. მაშასადამე, არა ჰყავთ ისეთი კაცები, რომლებსაც საზოგადო საქმე საზოგადო საქმედ მიაჩნდეთ. აი, სწორედ ამიტომაც საჭიროა სოფელმა მომეტებულად იზრუნოს სწავლა-განათლებაზე, რათა მით ძალ-ღონე შეიმატოს საკუთარის ავ-კარგიანობის საწარმოებლად. უეჭველია, რიგიანი სკოლა დიდს სამსახურს გაუწევს სოფელს და სოფელი იმ დღეს შეესწრობა, როცა საკუთარს ბედს რიგიანს ხელში მოაქცევს. სოფელი რაც მეტს იზრუნებს სწავლა-განათლებაზე, მით უფრო იშვიათი იქნება ის საჩივარი, რომელიც დღეს თითქმის ყოველ კუთხიდგან გაისმის.

ა. ს—ი

◆

ახალი ამბავი

⁂ დაიბეჭდა და კარგა ხანია ისყიდება კიდეც ახალი წიგნი „Русское слово“, რომელიც შედგენილია ქართველ მოსწავლეთათვის სახელმძღვანელოდ რუსულის ენის სწავლების დროს.

⁂ ყველიერის ხუთშაბათს, 3 მარტს, დანიშნულია «ტფილისის საბრანიაში» ქართულ დრამატიულ საზოგადოების ბალი, რომლის გამგებლობა კნ. მარ. დავითის ასულს ჭავჭავაძისას უკისრნია. სობრანიის დარბაზი ამ საღამოს მშვენივრად იქმნება მორთული ბ-ნ შამშინოვისაგან.

⁂ ქ. საფარ.-აბაშიძის ბენეფისი დანიშნულია სამშაბათისათვის, 23 თებერვალს. წარმოდგენილი იქნება დიდხანს არ-ნათამაშევი ჩვენს სცენაზედ დრამა «ორი ობოლი», ბ-ნის კ. ყიფიანის მონაწილეობით.

⁂ ჩვენის ქართულის დრამატიულის დასის სეზონი ყველიერის ოთხშაბათს თავდება. როგორც გვითხრეს, ზოგიერთ ქართველ არტისტებს განუზრახავთ, რომ სეზონის გათავების შემდეგ წავიდნენ გორში და სამი წარმოდგენა გამართონ: ხუთშაბათს, პარასკევს და კვირა დღეს.

⁂ ფიურერის ცირკში წარმოდგენებსა ჰმართავს ვიღაც ბ-ნი ფოსსი. ეს ფოსსი მეტად მძლავრი და ღონიერი კაცია, ორს გაჭენებულს ცხენს იმაგრებს ხელით და ამის წარმოდგენაც ის არის, რომ თავის ღონიერობით აკვირვებს და აოცებს საზოგადოებას. ეხლა, როგორც ამბობენ, ბ-ნს ფოსს განუძრახავს გაუმკლავდეს ჩვენებურს ღონიერს ბიჭებსა და დაეჭიდოსო.

⁂ საჭილაო (სენაკის მაზრა): ამ უკანასკნელს ხანებში ჩვენში ქურდობა იმდენად გახშირდა, რომ გამომცხვარ პურებსაც-კი იპარავენ ხულიდგან (საკუჭნაოა). სხვა-და-სხვა ავეჯი, ტაშტი, თუნგი, ქვაბი, ტაფა ისე გააქვთ ქურდებს სახლებიდგან, რომ იმათ კვალს ვერაფრით ვერ აღმოაჩენთ. თუ ვინიცობაა, პირუტყვი დაგრჩათ ღამე საბალახოზე, დარწმუნებული უნდა იყვნეთ, რომ იგი მეორე დღეს თქვენი არ არის. დღემდის ჩვენს

ფელეტონი

უცხოთა შორის

მიჯნურობა სხვა რამეა. — იგი სხვაა, სიძვა სხვაა. — განათლებული, კეთილი მეფე — პოეტი. — ამ მეფის უმცროსი შვილი. — დილით ამომავალი მნათობი. — გული ხომ ქვა არ არის. — მამა-პაპეული ნაანდერძევი. — მამის და შვილის თათბირი. — გულიდამ აღმოვიფხვრი „სიყვარულსა მისგან ჩემთვის დანათესსა“. — ფიცის გატეხა. — მოულოდნელი შემთხვევა. — რა დასთმო და რა იპოვა! — ეხლანდელ დროის ჭეშმარიტი სიყვარული. — მარტო ადამიანი ჭამაშიაც ცოდოა. — აქამდინ დახურული გული გადიხსნა, გადიშალა. — ბედნიერებას მოჰყვა უბედურება, სიტკბოებას — სიმწარე. — მოტყუებული ქალი. — უკანასკნელი წერილი ქალისა. — შეადარეთ ერთი-მეორეს!..

ნამდვილს და არა მოგონილს ამბავს მოგითხრობთ მიჯნურობაზე, იმ მიჯნურობაზე, რომელზედაც რუსთაველი ამბობს:

მიჯნურობა არის ტურფა,
საცოდნელად ძნელი გვარი,
მიჯნურობა სხვა რამეა,
არ სიძვისა დასადარი...

— როგორ! დღეს... როდესაც უმრავლესობას სწამს მხოლოდ «უგულოდ სიყვარული, ხვევნა-კოცნა, ტლაში-ტლუში», — ამისთანა დღეს და რუსთაველისებური მიჯნურობაო?! — გაიკვირვებს მკითხველი. იქნება გულშიაც ჩაიცინოს და იფიქროს: — არა, აქ სულ სხვა ნაირი ამბავი უნდა იყოსო!..

როგორც გნებავთ! თუნდ დაიჯერეთ, თუნდ არა, და მე-კი გარწმუნებთ, რომ ის, რასაც ეხლა მოგითხრობთ, არა ჰგავს დღევანდელს მიჯნურობას:

შუა უძევს დიდი ზღვარი...

ევროპის ზემო ნაპირა მხარეს, ჩრდილოეთით, ესრედ წოდებულ სკანდინავის ნახევარ კუნძულზე, ძევს ორი შეერთებული სახელმწიფო, შვეცი-ნორვეგია, რომელსაც განაგებს „მეფე ღვთისაგან სვიანი, მაღალი, უხვი, მდაბალი“ თუ არა, — ამას სწორედ ვერ გეტყვით, — კარგად განათლებული და კეთილი-კი. — ერთს ცოდვასაც სწამებენ ამ მეფეს, — ლექსების წერა უყვარსო. მაგრამ ჩვენ რა დავა გვაქვს, ეს საქმეს არ შეეხება.

ამ მეფეს უზის ორი შვილი, — უფროსი, მემკვიდრე ტახტისა, გუსტავი და უმცროსი — ოსკარი.

შეიქმნა რა სრულ-წლოვანი, უმცროსმა გამოსთხოვა მეფეს ნებართვა, შემოიკრიბნა გემ-ხომალდი და გაუდგა გზას ქვეყნების სანახავად და დასათვალიერებლად. ორს წელიწადს მოიარა მთელი ქვეყანა და შინ მშვიდობით დაბრუნდა.

შინ დაბრუნებულმა მეფის შვილმა ერთს დღეს საუცხოვო რამ სანახავი ნახა თავის უფროსის ძმის სახლში. ნახა ერთი ახალგაზდა ქალი, რომელიც სილამაზით და სიტურფით «დილით ამომავალ მნათობს და ბრწყინვალე ცისკარს» თუ არ შეედრებოდა, ბევრითაც არარაფრით ჩამოუვარდებოდა. სხვა მადლიც მიენიჭებინა ღმერთს ამ ქალისათვის: დიდი ჭკუა, გამჭრიახი გონება და მშვენიერი კაცთ-მოყვარე გული. სხვა სიმდიდრე ქალს არ გააჩნდა.

განა ეს-კი საკმაო არ არის? განა სხვა რამე სიმდიდრე შეედრება ამ სიმდიდრეს? ვინ იცის? ბევრი სხვა ნაირად ჰფიქრობს და ასეთ სიმდიდრეს არაფრადა სთვლის. მაგრამ ჩვენ ამათთან რა საქმე გვაქვს, — დავუბრუნდეთ ისევ ჩვენს ამბავს.

პრინც ოსკარმა ნახა ქალი და «გულს ისარი დაესვა», მოეწონა, შეუყვარდა. გაიარა ხანმა, პრინც ოსკარი მალ-მალე ჰხედავდა ქალსა და უფრო უძლიერდებოდა, უცხოველდებოდა სიყვარული. ქალსაც, რასაკვირველია, შეუყვარდა: — გული ხომ ქვა არ არის, და მეტადრე ქალის გული, და პრინცის უანგარო, წმინდა, წრფელი სიყვარული-კი ქვასაც გაადნობდა. პრინცმა კიდეც გადასწყვიტა თავის სიყვარული დაეგვირგვინებინა. მაგრამ აქ პრინც ოსკარსა წინ ისეთი მიზეზი დაჰხვდა, რომლის თავიდამ აცდენა ისე ადვილი არ იყო, როგორც ეგონა.

**

შვეცი-ნორვეგიის სახელმწიფო კანონების ძალით, მეფის შვილს არ შეუძლიან ჯვარი დაიწეროს სხვა ქალზე, თუ არ სახელმწიფო გვარეულობისა და შთამომავლობისაზედვე. ის ქალი-კი, რომელიც პრინცს შეუყვარდა, სრულიად ობოლი და უპატრონო ქალი იყო, არც დიდის გვარეულობისა, არც დიდის შთამომავლობისა. ამ ქალის მშობელი ერთგული და პატიოსანი მოსამსახურე იყო სამშობლოსი, მთელს ამათ გვარეულობას დიდი ღვაწლი მიუძღვოდა ქვეყნის წინაშე. შეუბღალავი პატიოსანი სახელი, — აი ის მამა-პაპეული განძი, რომელიც ქალსა ჰქონდა ნაანდერძევი. სხვა არაფერი. ობოლი ქალი მხოლოდ სამადლოდ იყო აყვანილი მემკვიდრის სახლში.

სიყვარულით გამხნევებული პრინცი მაინც არ შეუშინდა ამ დაბრკოლებას და საქმეს შეუდგა. მაგრამ საქმე ადვილი არ გამოდგა. მშობლებმა და ნათესავებმა ძრიელ იუცხოვეს, იწყინეს, როდესაც გაიგეს პრინცის გულის წადილი და განზრახვა. მეტადრე დიდს უარზე დადგა თვით მეფე.

საქონელს ნადირი ერჩოდა, ეხლა-კი ადამიანისაგან არა გვაქვს მოსვენება. ნადირს როგორც იყო ვებრძოდით და ჩვენს საკუთრებას არ ვანებებდით, მაგრამ დაოსტატებულს და გათამამებულს ქურდებს-კი ვერა მოვუხერხეთ-რა.

⁂ კავკავი: 12-ს თებერვალს პეტერბურგიდან კავკავში ჩამოვიდა ჩვენი პატივცემული ფოტოგრაფი, ბ-ნი ალექსი სოლომონის ძე როინაშვილი, თავის შესანიშნავის მუზეუმითურთ. როინაშვილი ძალიან ემადლიერება პეტერბურგისა და მოსკოვის საზოგადოებას, რომელმაც დიდი ყურადღება ათხოვა იმის მუზეუმს. როინაშვილს ამ უკანასკნელს ხანებში შეუძენია რამდენიმე ძველი ნივთი. პეტერბურგსა და მოსკოვში ბევრნი ეხვეწებოდნენ თურმე, ესა-და-ეს ნივთი მოგვყიდეო, მაგრამ როინაშვილი არ დათანხმებულა. როინაშვილს, როგორც თვითონ ამბობს, განზრახვა აქვს, თავისი ბინა ჩვენს დედა-ქალაქში გადმოიტანოს და აქვე გაჰმართოს თავისი მუზეუმი. როინაშვილი ამბობს, რომ ჩემს სამშობლოს არ უნდა დავუკარგო ჩემი მონაღვაწიო. ამ ჟამად პატივცემული ალექსი სოლომონის ძე წავიდა დროებით საცხოვრებლად თემირ-ხან-შურაში.

⁂ სოხუმი: ბედი ხელს გვიწყობს და იმედია, რომ აქედგან წელს დიდძალს სიმინდს გაიტანენ საზღვარ-გარეთ. ოსმალეთიდგან კარგა ძალი ვაჭრები მოგვაწყდა და ფუთ სიმინდში 70 კ. იძლევიან. სამაგიეროდ თამბაქო ხელ-უხლებლადა ძევს. ორიოდე ვაჭარი თუ მოსულა ამ ჟამად სოხუმში თამბაქოსათვის, ისიც ბევრია.

⁂ სურამი: კვირას, თოთხმეტს თებერვალს, შუადღის შემდეგ, სომეხმა მიხაკო დათებოვმა ხანჯლით დასჭრა სომეხი იაგორ აკოფოვი. ესენი ორივე აქაური მცხოვრებლები არიან. ჩხუბი სადილზედ მოსვლიათ. ამ საქმის თაობაზე გამოძიება სწარმოებს.

⁂ იქიდამვე: სოფ. ბეჟათუბნის მახლობლად, ს. მოლითში, საოფლე გაჩენილა და ოთხი-ხუთი სული ვაჟი და ქალი უმსხვერპლია.

⁂ ქვედა-აჭარიდგან გვწერს ჩვენი კორრესპონდენტი, აბდულ ეფენდი მიქელაძე: ამ თთვის ცხრას სოფელს კახნისთავს მოხდა ერთი საზარელი ამბავი. ერთს საცოდავს კაცს, გუთიოღლის, ჰყავდა ერთად-ერთი ვაჟი, რომელიც თავის ხელით კეზით (ფათერაკად) მოჰკლა. ამ საცოდავს, მისდა საუბედუროდ, ერთი გლახა ფიშტო ჰქონდა, ეს ფიშტო დიდის ხნის გატენილი ყოფილიყო და ეფიქრნა: დავცლი და ხელ-ახლად ავავსებო. გაალო თურმე ფანჯარა, გადმოყო ხელი იქიდამ და თვითონ-კი დაეფარა კედელს მისთვის, თუ ვინიცობაა გახეთქილიყო, თავის თავი არ დაემარცხებინა. ისროლა ფიშტო. თურმე იქ ლაფარეში მისი ვაჟი ხუთის წლისა თამაშობდა, მოხვდა ფიშტო და იქვე სული დალია. საწყალობელი მამა იკლავს თავს, მაგრამ რა გაუა.

⁂ იქიდამვე იგივე კორრესპონდენტი გვწერს: 12-ს ამ თთვეს ერთი კეზა კიდევ მოხდა. სოფელს გეგელიძებში ორმა ახალგაზდა დელიყანდმა გაიარეს გზაზედ ერთის კაცის ეზოსთან. დაინახეს ეზოში ერთი ნაცნობი ახალგაზდა. ერთმანეთს სალამი მისცეს და კაი ხანს ილაპარაკეს და იღლაბუცეს. ამ ღლაბუცში ერთს ამათგანს, რომელსაც ფიშტო ჰქონდა, გაუვარდა, მოხვდა მეორე მის არხატაშს უზეირა-საბძელ-ოღლის და მძიმედ დასჭრა.

⁂ ზაქათალიდამ სწერენ გაზ. «ნოვ. ობოზ.»-ეს, რომ ის კაცი, რომელსაც ჰბრალდებოდა გილაჯევის ქალის მოკვლა, სამოსამართლო პალატის განყოფილებამ გაამართლა ამ დღეებში და გააუქმა ოლქის სასამართლოს განჩინება, რომლის ძალითაც გილაჯევის ქალის მკვლელს ციმბირი ჰქონდა ათის წლით გარდაწყვეტილიო.

⁂ გაზ. „მწყემსის“ რედაქციას დაუბეჭდია ცალკე წიგნად აღწერა მცხეთისა და გაენათის მონასტრისა და ცხოვრება წმ. ნინოსი და დავით აღმაშენებლისა. ამ წიგნებში სურათებიც არის ჩართული.

⁂ მოსკოვის საარხეოლოგიო საზოგადოებას დაუნიშნავს გრაფ უვაროვის სახელით ჯილდო იმათთვის, ვინც 1889 წლისათვის წარადგენს ღირსეულს საარხეოლოგიო თხზულებას წინადვე გამოცხადებულის საგნის შესახებ. სხვათა შორის დანიშნულია ჯილდო შემდეგის თხზულების დაწერისათვის:

„Къ какому заключенію о бронзовомъ и желѣзномъ періодѣ приводятъ насъ свѣдѣнія о находкахъ бронзовыхъ и желѣзныхъ предметовъ на Кавказѣ“. (გაზ. ,,Рус. Вѣд.''-ი)

⁂ 18 თებერვალს, დღის 9 საათზედ, აზნაურის იაგორ ქალანთაროვის დაკეტილი სახლი გაუტეხნიათ და გაუტანიათ სხვა-და-სხვა ნივთები 400 მანათისა. ეს ქურდობა ჰბრალდება ქუთაისის გუბერნიის, სენაკის მაზრის, სოფ. ნაბაზოს მცხოვრებლებს, კონსტანტინე ბექას ძეს გახანიძეს. გახანიძე დაპატიმრებულია ნაქურდალითურთ. გამოძიება სწარმოებს .

ქართლ-კახეთის სამღვდელოების წარმომადგენელთა კრება.

16 თებერვალს დაიწყო ქართლ-კახეთის სამღვდელოების წარმომადგენელთა კრება. ეგზარხოსის წინადადებით კრებამ ექვს კანდიდატთა შორის ერთ-ხმად ამოირჩია თავ-მჯდომარედ სოფ. ყვარელის ბლაღოჩინი, მღვდელი ნიკოლოზ ხუციშვილი; საქმის მწარმოებლად — მღვდელი მ. ხელაშვილი და მღვდელი ლევანცოვი. ამის მერე შუადღის შემდეგ პირველ საათზედ სამღვდელოების წარმომადგენელნი წარსდგნენ ყოვლად მაღალ უსამღვდელოეს პალლადისთან კურთხევისათვის. ეგზარხოსმა სამღვდელოთა მამობრივის სიტყვით მიჰმართა:

„ღვთისა და მართებლობის განჩინებით მე ვიქმენ დანიშნულ საქართველოს ეკკლესიის მწყემს-მთავრად; დღეისათვის მე მოგიწვიეთ თქვენ, ჩემის ახალის სამწყსოს წარმომადგენელნი და ბლაღოჩინნი, რათა გაგიცნოთ მე თქვენ, ჩემნი ხელ-ქვეითნი, და თქვენ მე, თქვენი ახალი მწყემს-მთავარი. გამიცანით, გამეცნობინეთ, შევერთდეთ ერთად და საზოგადო საშუალებით აღვადგინოთ ოდესმე ბრწყინვალე საქართველოს ეკკლესია. ამისათვის წარმოვუდგენ თქვენს კრებას იმ საგნებს, რომელთა ახსნა და საქმედ ქცევა სარგებლობას მოუტანს ჩემს ახალს სამწყსოს.

„წინადვე გიცხადებთ, რომ უთქვენოდ მე ვერას გავაკეთებ ჩემის სამწყსოსათვის, რომელსაც თქვენ, როგორც ჩემმა დამხმარებლებმა, უნდა გარდასცეთ ჩემი სურვილი და წადილი“.

აი ეგზარხოსის მიერ წინად მოსაზრებული საგნები:

1) რა საშუალებაა საჭირო განახლებისა და გამშვენიერებისათვის იმ ტაძრთა, რომელნიც შესანიშნავნი არიან საქართველოსათვის — თავის სიწმინდით, ისტორიულის მნიშვნელობით და არხიტექტურით.

2) მეცადინეობა მღვდელთაგან ხშირად წირვა-ლოცვისათვის და სამრევლოთა ხშირად სიარულისათვის ეკკლესიაში.

3) მეცადინეობა სამღვდელოთაგან დაარსებისათვის ბიბლიოთეკათა თავის ეკკლესიებთან.

4) რაც შეიძლება ხშირად კითხვა სარწმუნოებრივის შინაარსის წიგნებისა სასმენელად მრევლისა ეკკლესიაში და გარედ.

5) მრევლთა წაქეზება მონაწილეობის მიღებისათვის საეკკლესიო კითხვა-გალობაში.

6) ხატისა და ჯვრების გავრცელება სამრევლოთა შორის.

7) რაც შეიძლება ხშირად ქადაგება ეკკლესიის გარედ საეკკლესიო ისტორიის მოთხრობებიდამ.

8) მეცადინეობა სამღვდელოთა მიერ განმრავლებისათვის სამრევლო სკოლებისა.

9) მეცადინეობა სამღვდელოთა დაწესებისათვის საეკკლესიო სამზრუნველოთა ყოველ ეკკლესიებთან.

10) გავრცელებისათვის და განკარგებისათვის წმინდა სანთლის კეთებისა და ვაჭრობისა.

11) ტფილისის სასულიერო სემინარიასთან საპარალელო კლასებისათვის შენობის აგება და ტფილისის საეპარქიო სასწავლებლის შენობის განახლება და საშუალებათა მოპოვება ამ საგნისათვის.

ამა თერთმეტ საგნის მნიშვნელობა საქართველოს ეგზარხოსმა თვით განუმარტა სამღვდელოების წარმომადგენელთა და ისურვა, რომ ყველა ეს საქმე შესრულდეს და განხორციელდეს.

18 თებერვალს დაიწყო ამ საგნების გარჩევა კრებამ. პირველმა, მეხუთე და მეათე საგნების განხილვამ მოინდომა მომეტებული დრო 17 თებერვლის კრებისა, ასე რომ მეათე საგნის დაბოლოვება 18 თებერვლისათვის გადაიდო.

პირველის საგნის შესახებ იყო ათქმული, რომ მთელს საქართველოში და რუსეთში აღიძრას ფულის მოგროვება ძველის შესანიშნავის ტაძრების განახლებისა და შენახვისათვის. ამაზედ მღ. გარბელაშვილმა წარმოსთქვა შემდეგი: «უწინ ჩვენს მამა-პაპათ აუგიათ ის მშვენიერი ტაძრები, რომელთ არხიტექტურა და ჩუქურთმა-ქანდაკება დღესაც აკვირვებს მთელს განათლებულს კაცობრიობას. ამ ტაძრებისათვის ჩვენს მამა-პაპათა შესწირეს მთა-ბარი, სახნავ-სათესი მიწები, ტყეები და აზნაურშვილები ყმებიანათ. დღეს ეს მამულები ხაზინის საკუთრებაა. ამის გამო ეკკლესიებს მოაკლდათ უწინდელი საშუალება განახლებისა და გამშვენიერებისათვის ძველის შესანიშნავ ტაძრებისა. ვსთხოვოთ საქართველოს ეგზარხოსს პალლადის, იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე, რომ ისეთ ტაძრებს, როგორნიც არიან მცხეთის ტაძარი, ალავერდისა, გაენათისა, სამთავისისა, ნიქოზისა და წმ. ნინოს მონასტერი, დაუბრუნდეთ ერთი მესამედი ნაწილი მაინც იმ ფულიდამ, რომელიც ხაზინას შემოსდის ამ ეკკლესიების მამულებიდამ.

სამღვდელოთ ეს რჩევა მოიწონეს. დეკანოზმა ღამბაშიძემ სთქვა, რომ ამ აზრის განხორციელება ყოვლად შეუძლებელიაო (?).

მეხუთე საგნის გამო იმავ მღ. გარბელაშვილმა სთქვა: «ა) ვალდებულ ვჰყოთ ჩვენ სამღვდელონი და ეკკლესიაში წირვა-ლოცვის დროს ვატარებინოთ ის სამღვდელოთა შვილნი, ობოლნი, რომელნიც სწავლის მიღების შეძლებას მოკლებულნი არიან, და ამათგანს და სხვათა მსურველთაგან შევადგინოთ მგოთხველ-მგალობელთა დასი ეკკლესიაშ ბ) ტფილისის სემინარიაში 1864-1870 წ. განმავლობაში ყოველ ოთხშაბათს და ყოველ კვირა-უქმე დღეს სემინარიის მაღლა, სულის წმიდის ეკკლესიაში სრულდებოდა დილით, მოადროვებით, წირვა-ლოცვა ქართულად და ამ დროს სემინარიის მოწაფენი ჰგალობდნენ და კითხულობდნენ ქართულად,

---

— როგორ, — ეუბნებოდა მეფე თავის შვილს — მეფის შვილი და ჯვარს იწერდეს არა-მეფის გვარეულობის ქალზე? არა, ეს შეუძლებელია. ჯერ ერთი კანონების წინააღმდეგია, და თუნდ კანონებსაც გვერდი ავუხვიოთ, მაინც მაგ ქალის შერთვა შენ ბედნიერებას არ მოგიტანს: შენ უნდა დასთმო ყოველ გვარი უფლება, ღირსება, წარჩინებულება, — ერთის სიტყვით, ყველაფერი, რაც მონიჭებული გაქვს, როგორც მეფის შვილსა. ნუ თუ ყველა ამას უარსა ჰყოფ? ნუ თუ ის ქალი იმაზედ მეტს ბედნიერებას მოგცემს, რასაცა ჰკარგავ?

შვილი არ დასთანხმდა მამას. ეტყობა, შვილი და მამა ერთ ნაირის თვალით არ უყურებდნენ ბედნიერებას. პრინცმა კარგად იცოდა, რასაცა ჰკარგავდა და სამაგიეროს რასაც იძენდა. ყველაფერს გულ-არხეინად სთმობდა, ოღონდ საყვარელი ქალი არ მოეშორებინათ.

მეფე მაინც თავის სიტყვაზე იდგა:

— მეფის შვილს ნება არა აქვს კანონს გადავიდეს, ტახტს უღალატოს. მემკვიდრეს რომ უბედურება რაიმე შეემთხვეს, ტახტს ვიღა დაიჭერს? ნუ თუ მეფის შვილს ნება აქვს, სიყვარულს, გულის წადილს შესწიროს ტახტიც, სახელმწიფო გვარეულობის ბედ-იღბალიც?

ასე ელაპარაკებოდა და არიგებდა მამა შვილსა.

— ნუ სწუხარ, ჩემო კეთილო მამავ, — ეუბნებოდა შვილი მამას — საქმე ჯერ მანდამდე არ მისულა და, ღვთის იმედით, მგონი, არც მივა: — მემკვიდრე ტახტისა სულ ერთის წლით არის ჩემზე დიდი და კიდეც ორი შვილი ჰყავს. მადლობა ღმერთს, მამაც და შვილებიც სრულიად ჯანმთლები არიან, ასე რომ დასაფიქრებელი და დასაღონებელი არა გჭირსრა: ჩვენს გვარს და სამეფო ტახტს არა ევნება-რა, მე თუნდაც უარ-ვყო ყოველი ჩემი უფლება.

**

მამა მაინც არ დაეთანხმა შვილსა.

როდესაც ქალმა ყველა ეს შეიტყო, შეიტყო, რომ პრინცმა იმის გულისათვის ყველაფერი უნდა დასთმოს, თითონაც უარზე დადგა: ჩემს სიყვარულს ისევ ჩემს გულში ჩავიკლავ და იმას-კი არ ვიზამ, რომ ჩემის გულისათვის ყველა დასთმოს, — დასთმოს დღეს და ხვალ-კი, შეიძლება, ისევ ინანოს. არა, ეს მეტად დიდი და ძნელად ასატანი ტანჯვა იქნება!..

ქალმა ფიცით შეჰფიცა ყველას, რომ გათხოვებაზე აღარ ვიფიქრებო, განვეშორდები ამ ქვეყანას და აღმოვიფხვრი გულიდამ «სიყვარულსა, მისგან ჩემთვის დანათესსაო».

მართლაც ქალმა სასახლეს თავი დაანება და სამკურნალოში შევიდა: — ავადმყოფების, სნეულების და უბედურების მოვლას შევსწირავ ჩემს ქალობას და სიცოცხლესაო.

თქმა ადვილია და სიყვარულის გულიდამ აღმოფხვრა-კი ეგრე ადვილი არა ყოფილა. პრინცმა სამკურნალოშიაც დაიწყო სიარული, ქალიც არ უკრძალავდა მოსვლას, — ეტყობა, სიყვარული ფიცზე ძრიელი ყოფილა. პრინცი ეხვეწებოდა ქალსა, გავიქცეთ და ჩუმად დავიწეროთ ჯვარიო, მაგრამ ქალმა აქ-კი იუარა, ვერ გაბედა, — სწორედ ფიცის გატეხისა შეეშინდა!

იმედ-მიხდილმა, სიყვარულით გატაცებულმა პრინცმა დედას შესჩივლა თავის გულის დარდი და შეეხვეწა: მიშველე რითიმე, მიშუამდგომლე მეფესთანაო.

დედამ დიდი ხანია იცოდა ეს ამბავი. პირველად თუმცა დედამაც იუცხოვა შვილის წადილი, მაგრამ მალე გული მოუბრუნდა, — დედის გული ჩვილია, — და სწუხდა, შვილის ტანჯვას რომ ჰხედავდა. ამასთან შვილის ამორჩეული ქალიც ძლიერ მოსწონდა, ბევრი ეცადა, მაგრამ მეფეს სიტყვა მაინც ვერ გაატეხინა.

ამ დროს დედოფალი ავად გახდა და ძალიან მძიმე ავადმყოფადაც შეიქნა. მორჩენის იმედი თითქმის ყველას გადაუწყდათ. ამ ყოფაში დედოფალმა კიდევ სთხოვა თავის ქმარს:

-- ჩემს სიცოცხლეში მინდა ვნახო შვილის ბედნიერება და ამიტომ უარს ნუღარ ეტყვი, ნება მიეცი ჯვარი დაიწეროს იმ ქალზე, რომელიც უყვარს.

მეფემ უარი ველარ უთხრა და შვილს ჯვარის წერის ნება მისცა.

მიაღწია პრინცმა თავის გულის წადილს, მაგრამ იცით რა მსხვერპლი უნდა შესწიროს ამ სიყვარულს? სახელმწიფო კანონის ძალით, პრინცმა საქვეყნოდ უნდა გამოაცხადოს და სამუდამოდ უარ-ჰყოს სამეფო გვირგვინი და ტახტი, აღარ იქონიოს ჰერცოგ-გოტლანდის ღირსება, აღარ უნდა იხსენიებოდეს «უმაღლესობით»; ჩამოერთმევა აგრეთვე საბატონიშვილო მამულები და ის სასახლეც, რომელიც სახელმწიფოდა ჰქონდა მიცემული. დღეის იქით უნდა ატაროს თავის გვარეულობის სახელი «ბერნადოტი», ითვლებოდეს კერძო კაცად, ხელმწიფის ქვეშევრდომად და სცხოვრობდეს თავის სამსახურით.

კაცმა დასთმოს ყოველი ქვეყნიერი სიკეთე, მეფური დიდება, პატივი, და დასთმოს საყვარელ ქალის გულისათვის, — განა ასეთი სიყვარული სამაგალითო არ არის? განა ტყუილი ვსთქვი, რომ ეს სიყვარული რუსთაველისებურ მიჯნურობას შევადარე?! არა, — დღეს ასეთი სიყვარული მართლა რომ გასაოცარია, თითით საჩვენებელი!..

**

თუ გნებავთ, აი ახლანდელ სიყვარულის მაგალითიც.

ერთს სოფელში, — სად, რომელ

ფილის სემინარიის რექტორის ვიქტორინის თაოსნობით. ვითხოვთ აღდგენილ იქმნას ეს მშვენიერი და სასარგებლო ჩვეულებაო". ეს რჩევა სამღვდელოებამ ერთ-ხმად მოიწონა და შეიტანა ჟურნალში.

ცხვილოელი

◆

სასამართლოს მატიანე

(მოსამართლეთა ბჭობა 17 თებერვალს)

ამას წინად ჩვენს გაზეთში მოხსენებული იყო, რომ 17 თებერვალს ტფილისის ოლქის სასამართლო განიხილავს «ცენტრალ სასტუმროს» გადაწვის საქმესაო. სწორედ დანიშნულს ვადაზე ოლქის სასამართლოში იყო ბჭობა ამ საქმის თაობაზედ. სასამართლოს დარბაზი სავსე იყო ხალხითა. სჩანდა, რომ ან თვით საქმე ყოფილა საყურადღებო, ან არადა საზოგადოების ყურადღება მიიპყრეს იმათ, რომელთაც სასტუმროს გადაწვა ჰბრალდებოდათ. ეს უკანასკნელი გარემოება უფრო დასაჯერებელია, რადგანაც თვით ვითარება საქმისა — შენობის ცეცხლით გადაწვა ახალი ამბავი არ არის ტფილისისათვის და ეს ავ-კაცობა მეტად ხშირად მოხდება ხოლმე ჩვენს დედა-ქალაქში. მოგეხსენებათ, რომ რაც ცეცხლისაგან მამულის დაზღვევა გაჩნდა ჩვენში, შენობის განგებ გადაწვაც გახშირდა. ვინ არ იცის, რომ ცეცხლისაგან მამულის დაზღვევა მეტად სახეიროა მამულის პატრონისათვის; ვინ არ იცის, რომ დაზღვევა რიად სასარგებლო დაწესებულებაა, მაგრამ ანგარებამ და ბოროტებამ ამ დაწესებულებასაც ლამის ძირი გამოუთხაროს და სრულიად აღმოფხვრას ჩვენში! დაზღვეულის სახლების განძრახ გადაწვა ერთს დროს ზოგიერთ ჩვენს ქალაქებში ისე გავრცელდა, რომ ხმა ისმოდა — არც ერთს დამზღვეველ საზოგადოებას აღარა ჰსურს დაზღვევოს სახლი ან რაიმე შენობა ამ ქალაქებშიო. მართალიც არის: რას იზამს დამზღვეველი საზოგადოება, როცა უმეტესად მამულის პატრონს აზრადა აქვს ცოტა ღირებული მამული ბევრად დააფასოს, მერე ჩუმად ცეცხლი მოუკიდოს და ზღვევის ფასი აიღოს!? კუკიის ხიდის ყურზედ, ვარანცოვის ძეგლის გვერდით, ეხლაც არის «ცენტრალი სასტუმრო», გენერალ ლიხოტინსკის სახლში. ამ ხუთი-ექვსის წლის წინად ეს სასტუმრო იჯარით ეჭირა ერთს შორაპნელს იმერელს, ლევან ორახელაშვილს, რომელსაც სასტუმროს ავეჯეულობა და სამკაული ათასას თუმნად დაეზღვია «რუსეთის მეორე დამზღვეველ საზოგადოებაში», თუმცა ავეჯეულობა და სხვა სამკაული თითონ პატრონს სხვაგან ორას თუმნად ეყიდნა. საქმის განხილვის დროს აღმოჩნდა, რომ ლევან ორახელაშვილი ღარიბი კაცი ყოფილა, ვიდრე სასტუმროს იჯარით აიღებდა, უბრალო მოჯამაგირედ ემსახურებოდა თურმე სხვა სასტუმროებში და თთვეში რვა მანეთი ჰქონდა. სასტუმროს იჯარით აღების შემდეგ-კი ლ. ორახელაშვილს ხელი მიუყვია კეთილ ცხოვრებისათვის; ასე გასინჯეთ, რომ «გულის ვარდიც»-კი უშოვნია. ეს «გულის ვარდი» ანნა ალავიძისა ყოფილა, ქმარ-თავდანებებული იმერელი ქალი, რომელსაც ლ. ორახელაშვილთან ერთად ჰბრალდებოდა სასტუმროს გადაწვა.

3 მაისს 1883 წ. ლ. ორახელაშვილს სასტუმროს მეკარე, ვიღაც არაქელოვი, ღამის ორ საათზე სხვაგან გაუგზავნია, თავის «გულის ვარდის» მოსაყვანად, და როცა მეკარე თავიდამ მოუშორებია, სასტუმროს კარი მაგრა დაუკეტნია, მეკარის ოთახში შესულა, ნავთი დაუღვრია იატაკზედ და ცეცხლი მოუკიდნია ოთახისათვის. ცეცხლის მოკიდება მალე შეუნიშნავს ერთს ვიღაცა ბილდონს, რომელიც სასტუმროს ახლო სცხოვრობდა ყვირილი დაუწყია და ამ ყვირილზედ ხალხი შეყრილა სასტუმროსთან. კარი გაუღიათ, შესულან მეკარის ოთახში და ცეცხლი გაუქრიათ. როგორც მოწმებმა აჩვენეს, «ცენტრალის სასტუმრო» ცეცხლის მოკიდების დროს სავსე ყოფილა სტუმრებითა, ასე რომ ცეცხლი თავის დროზედ რომ არ გაექროთ, აუარებელი ხალხი ცეცხლში დაიწოდა, ან არა-და მტკვარში დაირჩობოდა: ცეცხლს რომ არ ვემსხვერპლეთ, ოთახის ფანჯრებიდგან მტკვარში უნდა გადავცვივნილიყავით, სხვა სახსარი აღარ იყო, რადგან სასტუმროს ცეცხლი მოუკიდეს გასავალ კარებთანაო. ასე აჩვენეს მოწმებმა... ავ-კაცობას და ბოროტებას რომ გაემარჯვნა, დიდი უბედურება დატრიალდებოდა ტფილისში!

ანნა ალავიძეს ჰბრალდებოდი, რომ შემწეობა გაუწია დამნაშავესა, ლ. ორახელაშვილს და განგებ წავიდა სხვაგან, რომ ორახელაშვილს მეკარე თავიდამ მოეშორებინა და ცეცხლი მოეკიდებინა სასტუმროსათვის.

სასამართლომ ლ. ორახელაშვილი დამნაშავედ იცნო და ციმბირში გაგზავნა მიუსაჯა, ხოლო ანნა ალავიძისა-კი გაამართლა.

მოგეხსენებათ, რომ ამ რამდენისამე წლის წინად ტფილისში მოსამსახურეებს უნდოდათ საზოგადოება შეედგინათ. თურმე ლ. ორახელაშვილს დიდი მონაწილეობა მიუღია იმ მოძრაობაში, რომელმაც დაჰბადა აზრი მოსამსახურეთა საზოგადოების დასაარსებლად. გარდა ამისა, «რვა მანათიანი» ორახელაშვილი ამ მოკლე ხანში დიდი ვინმე გამხდარა და ერთი საუკეთესო სასტუმროც-კი იჯარით აუღია. დაუმატეთ ამას რომანტიული კავშირი ანნა ალავიძისა ლ. ორახელაშვილთან და ადვილად მიჰხვდებით, თუ რისათვის მიიზიდა სასამართლოს დარბაზში ბევრი ხალხი «ცენტრალურ სასტუმროს» ცეცხლის მოკიდების საქმემ.

◆

რუსეთი

— პეტერბურგის უნივერსიტეტში 1886 წლის პირველ იანვარს ყოფილა სულ 2,880 სტუდენტი. 1887 წლის 1-ს იანვარს ამ რიცხვს დაუწევია 2,627-მდე; ამათშიაც 2,525 კანონიერი სტუდენტი ყოფილა, ხოლო 102 კაცი-კი თავისუფალი მსმენელი. ამ 1888 წლის 1-ს იანვარს-კი უნივერსიტეტში 2,053 სტუდენტი-ღა დარჩენილა.

— ოდესის ერთს ყავახანაში 24 იანვარს შესულა ერთი დედაკაცი, ხელში სჭერია ასე ხუთის თვის პაწია ყმაწვილი, დამჯდარა, ჩაი მოუთხოვნია და დაუწყია სმა. ყმაწვილისათვისაც დაულევინებია. ყველანი აღტაცებით შესცქეროდნენ თურმე ლამაზსა და ფუნჩულა ბავშვსა. ამ დედაკაცს ორი ჭიქა ჩაი დაულევია, ტახტზე დაუსვამს ყმაწვილი, ხელში პატარა ნაჭერი მიუცია შაქრისა, უთქვამს: «აქ იყავი, გენაცვა, და დედაც ეხლავე მოვალო», და გასულა ყავახანის ეზოში. გაუვლია რამდენსამე ხანს, დედაკაცი არ დაბრუნებულა. ყმაწვილს ტირილი მოურთავს. ერთი ყავახანის მუშტართაგანი მისულა ახლო ყმაწვილის დასამშვიდებლად და უნახავს, რომ ბავშვს გულზე რაღაც ბარათი აქვს მიმაგრებული მაფით. ბარათში წერებულა: «გთხოვთ, ეს ბავშვი ლაზარეთში ჩააგდოთო». რაღა თქმა უნდა, რომ დედა სულ აღარ დაბრუნებულა.

— გაზ. «С.-Пет. Вѣд.»-ი შემდეგს სასაცილო ამბავს გარდმოგვცემს. ერთმა პეტერბურგელმა ფრინველთა გაშენების მოყვარულმა მოიწადინა, რომ კატა კრუხად დაესვა და წიწილები გამოეჩეკინებინა. მართლაც შეაჩვია ხატაური, კვერცხებზე დასვა და რაკი ჩვეულებრივი დრო გავიდა, მშვენიერი წიწილები გამოიჩეკნენო.

— ძალიან მასხარად აუგდიათ ვარშავაში ერთი ახალად ჯვარ-დაწერილი ყმაწვილი კაცი. ვიღაც N-ს ჯვარი დაუწერია ერთს შეძლებულსა და მდიდარს ქალზე, ქორწილზე დიდ-ძალი ხალხი დასწრებია, რომელთაც გულ-უხვად ჰმასპინძლობდნენ თურმე ახალგაზდანი. N-ს სხვის მასპინძლობის დროს თითონაც გვარიანად გადაუკრავს. ამ კაცის სამი მეგობარი მეორე დილის 6 საათზედ ჩენსტოხოვში მიდიოდნენ თურმე. დილა ადრიანად თან გაუყოლებიათ ნასვამი N, ჩაუსვამთ რკინის გზის ვაგონში და თავი ჩენსტოხოვში ამოუყოფინებიათ. ეს ამბავი თვით ვარშავში არავისა სცოდნია, გაოცებიათ N მიჩქმალვა, მაშინვე ფეხზედ დაუყენებიათ მთელი პოლიცია და უძებნიათ. N-კი მხოლოდ მაშინ გამოფხიზლებულა და გონებაზედ მოსულა, როცა ჩენსტოხოვში გადმოსულან რკინის გზიდგან. მაშინვე ახალგაზდა ცოლისათვის დეპეშა მიუწერია და თითონაც ვარშავისაკენ გასდგომია გზასა. მისულა პირდაპირ ცოლისას, მაგრამ მოსამსახურეს არ შეუშვია სახლში, — ქალბატონმა მიბრძანა, რომ ჩემს ქმარს ნუ შემოუშვებ, თუ მოვიდესო.

— ერთს პეტერბურგის გაზეთში ახირებული ამბავია ნაამბობი ერთის პირუტყვთა მფარველ საზოგადოების წევრის ქალისა, რომელსაც მართლა რომ არასაკადრისი სიყვარული ჰქონია ძაღლისა. ეს ქალბატონი საზღვარ-გარეთ ყოფილა. საყვარელი ძაღლები თავის გოგოსათვის მიუბარებია მოსავლელად და საპატრონებლად. უეცრად დეპეშა მიუღია პეტერბურგიდგან, რომ ესა-და-ეს ძაღლი ავად გახდაო. მაშინვე აბარგულა, მისულა პეტერბურგში და რამდენიმე დღე დარჩენილა, იმ დრომდე, ვიდრე ძაღლი მორჩებოდა. შემდეგ ისევ პარიჟშივე წასულა მორჩენილ ძაღლითურთ და თან წაუყვანია რუსეთიდგან ერთი ბეითალი: რა არის, ვინიცობაა გზაზედ ისევ ავად გახდეს ძაღლი, მკურნალი და მპატრონებელი ჰყავდესო. რაღა თქმა უნდა, რომ ამ ქალბატონს ბეითალისათვის პეტერბურგიდგან პარიჟამდე გაცილებისათვის კარგა ძალი ფული მიეცა. აი ამ მანდილოსნს-კი სულ რამდენისამე ხნის წინად სრულიად უარი უთქვამს ერთიოდ-ორიოდ გროშზე და შემწეობა არ აღმოუჩენია ერთის თავის შორეულ ღარიბ ნათესავისათვის. გულ-მტკივნეული ადამიანი თუ გინდათ, აბა, [illegible] პეტერბურგელი პირუტყვთ დამცველ საზოგადოების წევრია, აა!

◆

უცხოეთი

ბოლგარია. ამოჰყო ისევ თავი ბოლგარიამ და მხოლოდ ეს სახელი-ღა იხსენება ამ ჟამად გაზეთებშიაც და დიპლომატიაშიაც. მართალია, ბისმარკმა-კი სთქვა, რომ ბოლგარიის გამო ომის ატეხა სამარცხვინო საქმე იქმნებოდა ევროპისათვისაო, მაგრამ, ვინ იცის, იქმნება ამ სირცხვილს არც-კი მოერიდოს დიპლომატია. სირცხვილი და დიპლომატია, პოლიტიკა და სამართლიანობა ცოტა შორი-შორს იჭერენ საქმესა ერთმანერთისაგან. ან-კი რა სირცხვილია, ან ვისთვის არის სირცხვილი? ნუ თუ ოთხ მილიონის ხალხის ბედი ისეთი მცირე საქმეა, რომ თავ-გამოდება იმისთვის ევროპის მხრივ სამარცხვინოდ უნდა ჩაითვალოს? სამარცხვინო თუ იქნება რამე ამ საქმეში ევროპისათვის, ისევ ის იქნება, რომ დიპლომატიას ვერ მოურიგებია ერთმანერთში დიდნი სახელმწიფონი.

ბისმარკი ძალიანა სცდილობს, რომ ოსმალეთს შეაწყნარებინოს სურვილი

ყანაში, სულ ერთია, ასეთი ამბა- ღეს ყველგან მოსალოდნელია, — ოვრობდა ერთი კარგად შეძლე- ლი მამულის პატრონი. ამ კაცს ი მოზრდილი, გასათხოვარი ქალი ანდა. მივარდნილ, მიყრუებულ ად- ლას, სადაც თთვეობით უცხო კაცის ი არ მოხვდებოდა, ქალი, რასაკვირ- ლია, არაფერს სანატრელ და მხია- ლ ყოფა-ცხოვრებაში იქმნებოდა. ტო ადამიანი ჰამაშიაც ცოდოაო, ტყვიან, და რამდენად საცოდავი ა ყოფილიყო ის საწყალი ქალი, ელიც თითქმის მარტოობაში ებდა ცხოვრებას. მამაც დახუ- გულის კაცი იყო, და არც ნ უყვარდა სხვებთან სიარული, ხვევისა — თავისთან. თქვენ თი- წარმოიდგინეთ, მკითხველო, ტანჯვაში უნდა ყოფილიყო "ქა- ამისთანა მამის ხელში, ახალ- და ქალი, რომელსაც გული სულ ს ეუბნება, სხვაგან იტაცებს, რო- ლსაც სულ სხვა სიცოცხლე სწყურ- ნ. გულს ნაღვერდალი ჰღვივის, ლსა სწვავს და მხოლოდ გარედამ რული აქვს წაყრილი და არა ნ. საკმაოა ოდნავ ვინმე ხელი შეახოს, ფერფლი გაჰქროს, პატარა ნაპერწკალი ჩააგდოს, რომ ნაღვერდალი გაცხოველდეს.

სწორედ ასეთი საქმე მოუვიდა სოფელში ჩაკეტილ და ჩახურულ ქალსაც. ამის მამასთან მოვიდა ვიღაც კაცი, კარგად თვალადი, ტანადი, არც თუ ძლიერ ყმაწვილი, არც თუ ხანში შესული. ქალის მამას რაღასაც ევაჭრებოდა და ერთ სამ-ოთხს დღეს მოუხდა აქ დარჩენა. ქალიც, რასაკვირველია, გაიცნო და ტრფიალობაც დაუწყო. ეს იყო ნაპერწკალი, რომელიც ქალს შიგ გულში მოჰხვდა. აქამდინ დახურული გული გაიხსნა, გაიშალა; ფერფლ-წაყრილი, მიმალული გრძნობა გაღვივდა, აენთო; ქალი გაგიჟებით, თავ-დავიწყებით მიეცა ახლად გაღვიძებულს, გამოუცდელს, ტკბილს, ნეტარებით სავსე გრძნობას; ეს გრძნობა ცეცხლივით მოედო და შეიპყრა მთელი იმისი არსება. მაგრამ ხანგრძლივი არ იყო ამ ქალის ბედნიერება, — ბედნიერებას მოჰყვა უბედურება, ტანჯვა, სიტკბოებას — სიმწარე.

**

ჯერ ერთი, რომ ეს კაცი გულწრფელად არ იქცეოდა: დაჰპირდა ქალს, რომ მალე დავიწერ შენზე ჯვარსაო, მაგრამ დრო და ხანი მიდიოდა, და ეს-კი საწყალს ქალს სულ დღეს-ხვალობით ატყუებდა. ორი-სამის დღით მოვიდოდა ქალის მამასთან, — ქალი გაიხარებდა, ტანში გაიშლებოდა, გულზე სევდა მოეშვებოდა, იმედი მოეცემოდა ხოლმე, მაგრამ წავიდოდა ისევ და ორ-სამს თთვეს საწყალს ქალს გული და თვალი უნდა გადაჰლეოდა იმის ლოდინში.

მოსწყინდა ქალს ამდენი ლოდინი, სულით გაიტანჯა, ვეღარ შესძლო.

— მითხარი გარდაწყვეტილი, — ჰკითხა ერთს დღეს ქალმა თავის მტანჯველსა — ვეღირსებით როდისმე ჯვარის დაწერას თუ არა?

— რა ვქნა, უნდა გამოგიტყდე, ვერა ვბედავ ცოლის შერთვას, შეძლება არა მაქვს. აი თუ ეცდები და მამაშენს კარგს მზითევს მოაცემინებ, მაშინ დიდის სიამოვნებით დავიწერ ჯვარსა.

აი ჭეშმარიტი ეხლანდელ დროის სიყვარული ეს არის!.. მაინც, ამბობენ, სიყვარული ადამიანს თვალებს უხვევს და გონების მხედველობას უხშავსო. მართალი უნდა იყოს. თორემ ამ საწყალს ქალს ეხლა მაინც როგორ არ აეხილა თვალები. იმის მაგიერ, რომ შეჰზიზღებოდა ასეთი კაცი, ქალმა იმედი მისცა, ვეცდები მამაჩემი დავიყოლიო და მზითევი გამოვართვო.

მამა თუმცა ძალიან ხელ-მოჭერილი კაცი იყო, მაგრამ, ბევრის ხვეწნის და მუდარების შემდეგ, მაინც გამოიმეტა შვიდასი თუმანი ქალისთვის.

საქმრომ დასტყუა ეს ფულები ქალს, ჩაიწყო ჯიბეში და გაჰქრა უგემოდ. ქალმა ბევრი იტირა, ბევრი ინაღვლა, ბევრი თავში იცა, მაგრამ რაღას უშველიდა. ბოლოს როგორღაც შეიტყეს, რომ ეს მატყუარა კაცი ერთს ქალაქში სცხოვრობსო. წავიდა ქალის მამა ამ ქალაქში, — ამას, რასაკვირველია, ისე ამ კაცის დაკარგვა არ ედარდებოდა, როგორც ფულისა. მივიდა, იპოვა, — მაგრამ შენს მტერს, რაც ამან გაიგო: თურმე ნუ იტყვით ჯვარ-დაწერილიცა ყოფილა და სამი შვილიცა ჰყოლია.

ქალს ეს ამბავი ელდასავით ეცა. ვეღარ შესძლო. ცოტა ხნის ბედნიერება ასე ჩაჰმწარდა, ჩაჰშხამდა. სიცოცხლე დღეის შემდეგ ამ ქალისათვის მეტ ბარგად-ღა უნდა გადაქცეულიყო. ქალი უდროოდ გამოესალმა ამ წუთი-სოფელს, და სიკვდილის წინადაც-კი ახსოვდა მხოლოდ ის, ვინც სიცოცხლე ესე გაუმწარა და სიცოცხლეზედაც ხელი აალებინა. აი რა წერილი დაეტოვებინა ამ ქალს: «ჩემო სიცოცხლევ! მე შენ არა გწყევლი და არც არაფერში გამტყუნებ. ყველაფერი მიპატიებია იმ რამდენისამე წუთის ბედნიერებისათვის. ამისრულე ჩემი უკანასკნელი თხოვნა: ნახე ჩემი საფლავი. მამაჩემს ერიდე, არსად შეჰხვდე».

რა ძალა უნდა ჰქონდეს სიყვარულს, როდესაც დამწვარ, დაშხამულ გულიდამ კიდევ ასეთი სიყვარულით და სიტკბოებით სავსე სიტყვები ამოდის?.. რამდენად უფრო ულირსი, საზიზღარი უნდა იყოს ის კაცი, რომელმაც ეს გული ვერ იცნო და ისე შეუბრალებლად მოშხამა და მოწამლა.

შეადარეთ ეხლა ეს კაცი და პრინცი ოსკარი! ერთად დააყენეთ ამისი და იმის სიყვარული! განა შეიძლება-კი ერთად დაყენება? ერთი წმინდა, უმანკო, ჭეშმარიტი სიყვარულია, მეორე?.. როგორ არ გავიმეოროთ რუსთაველის სიტყვები:

იგი სხვაა; სიმგა სხვაა,
შუა უზის დიდი ზღვარი!

დონ-იაგო

რუსეთისა და გამოაცხადებინოს, ვითომ პრინცი ფერდინანდი უკანონოდ ამორჩეული მთავარი და ბოლგარიის ტახტის მომტაცებელიაო. ბისმარკი უთვლის ოსმალეთს, ნუ გეფიქრება, რომ ინგლისი ყოყმანობს და ავსტრია ტოკავსო. შენ ამ სახელმწიფოებს ნუ შეჰხედავ, რადგან იმათ საწინააღმდეგო არა ექმნებათ-რა, რომ ბერლინის ხელ-შეკრულობის თანხმად ვიმოქმედოთო.

მაგრამ საშიში აქ მხოლოდ ერთი რამ არის, ვსთქვათ, ოსმალეთმა გამოაცხადა ყოველივე, რასაც ბისმარკი სთხოვს. რომ გამოაცხადოს კიდეც თავისი სურვილი, ამ სურვილის შესასრულებლად ძალაც უნდა მოიხმაროს ოსმალეთმა, თუ ვინიცობაა პრინცმა ფერდინანდმა ყურიც არ გაიბერტყა ოსმალეთის სურვილის გამოცხადების შემდეგ და არ გაემგზავრა ბოლგარიიდამ თავის ებენტალის ციხე-დარბაზში? ასე რომ მოხდეს, მაშინ როგორ დატრიალდება საქმე? აი ამისი ეფიქრებათ ინგლისსა და ავსტრიას. ვსთქვათ, ჩვენც მოვიწონეთ ის, რაც ოსმალეთმა უნდა მოიქმედოს. მერე, როცა საქმე საქმეზედ მიდგება, ბოლგარია მაინც თავისას არ დაიშლის და ძალის ხმარება იქმნება საჭირო. ჩვენ ხომ ხმას ვეღარ ამოვიღებთო, ამბობენ ავსტრიაცა და ინგლისიცა, და არავითარი წინააღმდეგობა აღარ უნდა გავუწიოთ, თუ ვინიცობაა ჩვენგან მოწონებულის სურვილის შესრულებას ძალით შეუდგება ბოლგარიაში ან ოსმალეთი, ან სხვა რომელიმე სახელმწიფოვო.

ასეა დღეს ბოლგარიის საქმის ვითარება წამოყენებული ევროპის წინაშე, ამბობენ ავსტრიის და გერმანიის გაზეთები, და, ვინ იცის, ჯერ კიდევ როდემდე გასტანს ასეთი ყოფაო.

ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲐ. ავსტრიას უნდა, რომ ბოლგარიის დღევანდელს მთავარს არას დროს არ მოესპოს მფლობელობა ბოლგარიაში. ბერლინის ხელ-შეკრულობაზეკი ხმას არც ერთი გაზეთი აღარ იღებს. ავსტრია ძალიან დიდს ფიქრს მიეცა, რადგან ეშინიან, რომ ბოლგარიაში არეულობა არ მოხდეს და პრინცს ფერდინანდს არ გაუჭირდეს მშვიდობიანობის დაცვაო. მაინც აქ ისიცა ჰგონიათ, რომ ბისმარკს ბოლგარიის საქმეში რუსეთის მხარე უჭირავსო.

— ამას წინად ვენაში გაარჩიეს სლავინის ჟივნოის საქმე. ბრალდებულმა ეროვნობაზე ილაპარაკა. ეროვნებათა ბრძოლამ დაჰბადა პანსლავიზმიო. რა არის პანსლავიზმი? პანსლავიზმი ის არის, რომ ყველა სლავიანებს უნდათ გაერთდნენ რუსეთის მოთავეობითაო. ასეთი პანსლავიზმი ძალიან მავნებელია ავსტრიის წეს-წყობილებისათვისაო. აი ამ მავნებელის საქმის შესასრულებლად შრომობდა ბრალდებული ჟივნოი. სახსრად და იარაღად ჰქონდა მწერლობა და გაზეთი «პარლამენტიორი». უფრო იმას ჰქადაგებდა, რომ ავსტრიის სლავიანთა შორის გავრცელებინა რუსული ენა და აღედგინა სლავიანური წირვა-ლოცვაო. ჟივნოი ამზადებს ნიადაგს, რომ შესდგეს დიდი სახელმწიფო სლავიანებისაო, დამოკიდებულებაშია გავლენიან პანსლავისტებთან და იღებს მათგან შემწეობას ფულითაო.

* * *

წვრილი ამბები

— ბალტიმორის თეატრში ამას წინად წარმოუდგენიათ „The Gladiator“-ი. ეს პიესა ამ თეატრის საკუთრება ყოფილა. წარმოდგენის დროს ყურადღება მიუქცევიათ ერთის ლამაზის ქალისათვის, რომელიც რაღაცასა სწერდა თურმე. ბოლოს აღმოჩენილა, რომ ეს ქალი პიტსბურგის თეატრის არტისტი-ქალია და პიესის პირს იღებს. მოთამაშეთ წარმოდგენა შეუყენებიათ და საზოგადოებისათვის გამოუცხადებიათ ამ გვარი ქურდობა. დასასრულ, დიდის სტვენით და კიჟინით გამოუსტუმრებიათ თეატრიდგან ქურდ-ბაცაცა ქალი პიესებისა.

— ინგლისში კიდევ ვიღაცას მოუკლავს თავი დინამიტის შემწეობით. ვიღაც დავით ევენს, მადანში მომუშავეს, მოჰბეზრებია მწარე სიცოცხლე, ერთი მუჭა დინამიტი დაუყრია თავზედ და ცეცხლი წაუკიდებია. დინამიტი მაშინვე აფეთქებულა და თავი და მარჯვენა ხელი მოუგლეჯია თვით-მკვლელისათვის. ამას გარდა დინამიტს მოუგლეჯია ის ფიცრულიც, რომელშიაც ევენს თავი მოუკლავს.

— საფრანგეთის დეპუტატთა პალატის საპარლამენტო კომისიას მიუღია განსახილველად კანონ-პროექტი, რომ სამოქალაქო ორდენები გაუქმებულ იქმნასო.

— ბერლინში ეხლა იყიდება თურმე მენდლები, ქინძისთავი ყელ-სახვევებისათვის, გულის ქინძისთავები და სხვანი, რომელზედაც ამოჭრილია ბისმარკის უკანასკნელი სიტყვები: „ჩვენ, გერმანელებს, მარტო ღვთისა გვეშინიან და სხვა არავისიო!“

— წლევანდელ ზამთარს საზღვარ-გარეთ ძალიან გავრცელდნენ მგლები. განსაკუთრებით ხშირად ამოიკითხავთ ხოლმე ვენგრიის გაზეთებში, რომ ამა-და-ამ ადგილას მგლები დაეცნენ კაცსაო. ამ რამდენისამე დღის წინად ერთი ბოშა მემუსიკე სოფლიდგან სეტი-სენტ-გიერგში მიდიოდა თურმე თავის საყვირით. უეცრად დაინახა ბოშამ, რომ მგელი მირბოდა იმისაკენ. შიშისაგან მემუსიკეს მოუვიდა თურმე ფიქრად, რომ მოდი საყვირს ავაყვირებ რაც ძალი და ღონე მაქვსო. საყვირის ხმაზედ მგელი შესდგა და დაიწყო ღმუილი. ამასობაში მემუსიკე მიდიოდა სულ წინა და წინ; მგელიც ღმუილით ფეხ და ფეხ მისდევდა ბოშას უკან. ამ გვარად მემუსიკე ქალაქში მისვლამდე სულ აყვირებდა თურმე საყვირს, მგელიც ხანს აძლევდა და უკან მისდევდა, იმ დრომდე, ვიდრე ბოშა ქალაქში არ შევიდოდა.

— ვენის ერთს არტისტ-ქალს ცუდი საქმე დაჰმართებია უკანასკნელს ვენაში გამართულს ბალზედ. ამ ქალს საზოგადოების ყურადღება უნდოდა თურმე მიექცია და ამიტომ ახირებული თავის სამკაული უშოვნია. ერთის ქურქჩის დუქანში ციმბირის კურდღლის ლამაზი ტყავი უნახავს, დიდრონის ყურებით. არტისტ-ქალს ეს ტყავი წამოუსხავს თავზედ, ასე რომ კურდღლის ყურები აქეთ-იქით გაშვერილები ჰქონია. ესენიც ძაფებით ისე მოუწყვია თურმე, რომ როდესაც უნდოდა, მაშინ გაანძრევდა და გააპანტურებდა. შესულა თუ არა ბალის დარბაზში ამ სამკაულით ქალი, ყველას იმისი ცქერა დაუწყიათ და წამოუძახნიათ: „შეხედეთ, შეხედეთ, ამ ქალს სახედრის ყურები ასხიაო!“. სადაც მივიდოდა ქალი, რომელს კუთხისაკენაც გაივლიდა, ყველგან ესმოდა თურმე „სახედარი და სახედარიო!“ ქალს ძაფისათვის ჩამოუკრავს და ყურები გაუპანტურებია. ამაზედ მთელს საზოგადოებაში სიცილი და ხარხარი ატეხილა და უთქვამთ, რომ „სახედარი ცოცხალი ყოფილაო!“. არტისტ-ქალს ძალიან გული მოჰსვლია საზოგადოებაზედ, რომელმაც ციმბირის კურდღელი ვირისაგან ვერ გაარჩიაო, შესულა ქალების ოთახში და ჩამოუხსნია თავიდგან ახირებული სამკაული.

* * *

დეპეშა

18 თებერვალი

ᲞᲐᲠᲘᲟᲘ. ვილსონს გარდაუწყვიტეს ორის წლით ციხეში დაპატიმრება, 3000 ფრანკის ჯარიმის გარდახდევინება და ხუთის წლით სამოქალაქო და საპოლიტიკო უფლებათა ჩამორთმევა.

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ. იმ ხმის გამო, ვითომ ბოლგარიის საქმის გარდასაწყვეტად კონფერენცია არის დანიშნულიო, ამბობენ, რომ ბოლგარიის საქმის შესახებ არავის აღუძრავს მოლაპარაკებაო.

პეტერბურგის ბირჟა 16 თებერვ.

	მყიდველია.	გამყიდველისა	გაყიდულისა
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ხუთმანათიანი ოქრო .	— ,,	— ,,	10
ტამოჟნის კუპონები .	— ,,	— ,,	197
მანათიანი ვერცხლის ფული	— ,,	— ,,	1 38
5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი	— ,,	— ,,	250
— მეორისა.	— ,,	— ,,	$234\frac{3}{4}$
გირავნობ. ფურცელნი ტფილისის ბანკისა .	— ,,	— ,,	— ,,
ქუთაისის ბანკისა . .	— ,,	— ,,	— ,,
ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა.	— ,,	— ,,	— ,,

* * *

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპჱ (1888) წელიწადია.
ქვეყნის შექმნიდამ **7396**.
ძველი ინდიქტიონი მე 14,
ამისი ქორონიკონი—უპ=480 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4,
ამისი ქორონიკონი—მდ=44 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1888 წლის ზედ-ნადებია—25.

თებერვალი 29 დღით არის

20 დღე შაბათი. მოწ. აგაფონისა დი ლეონისა. კათოლ. ეპისკ. ლეონისა. სომ. ყველა წმინდათა. მუსულ. მე-19 რიცხვი თთვისა ჯემად-ულ-ახირისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—11. ტფილისში მზე ამოდის 6—50, ჩადის 5—54. მთვარე 21 დღისაა.

21 დღე კვირა. ღირსისა გიორგისა, ესტატესი და სხ. კათოლ. ელეონორასი. სომეხ. ქორწინებათა ნება ეძლევათ.—გარდაიცვალა რუსეთის მწერალი, ნ. ვ. გოგოლი, 1852 წ.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—11. ტფილისში მზე ამოდის 6—26, ჩადის 5—55. მთვარე 22 დღისაა.

22 დღე ორშაბათი. ღირსისა ათანასესი, წმ. წამ. ევგენიასი. კათოლ. წმ. პეტრესი. სომეხ. მარხვაა. მუსულ. მე-21 რიცხვი თთვისა ჯემად-ულ-ახირისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—11. ტფილისში მზე ამოდის 6—26, ჩადის 5—57. მთვარე 23 დღისაა.

* * *

გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 თებერვლიდამ 1 მარტამდე

თეთრი პური რუსული	1 გირ. 5	კაპ.
პური 1-ის ხარისხისა . .	3	»
2 ›	$2\frac{1}{2}$	»
თონის წითელი პური 1-ის ხარის.	5	»
› › 2—	$3\frac{1}{2}$	›
› › 3 ›	3	›
ჯვარის მამის პურის ლავაში		›
1-ლის ხარისხისა .	5	›
მე-2 ხარისხისა .	4	›
მე-3 — . .	›	›
ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა.	9	›
სუკი	14	›
ძროხის ხორცი . . .	8	›
› 2 ›	7	›
ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა.	8	›
› 2 ›	7	›

განცხადებანი

ᲙᲐᲕᲙᲐᲡ. ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ

საბაღოსნო სკოლაში

(მუშტაიდის გვერდზე)

ისყიდება სხვა-და-სხვა ხეხილი და სადეკორაციო მცენარენი. ვისაც ჰსურს სია ანუ პრეისკურანტი გასასყიდის ხეხილისა, უსასყიდლოდ გაეგზავნება. (10—3)

მიმოსვლა რკინის გზისა

ბათუმსა და ტფილისს შუა

სტანციები	მოდის საათ.	მოდის წამი.	გადის საათ.	გადის წამი.	სტანციები	მოდის საათ.	მოდის წამი.	გადის საათ.	გადის წამი.
	დ ი ლ ი თ					დ ი ლ ი თ			
ტფილისი.	—	—	8	49	ბათუმი. . . .	—	—	8	4
ავჭალა. . . .	9	9	9	11	ქობულეთი.	8	54	8	57
მცხეთა. . . .	9	32	9	40	ნატანები. . . .	9	25	9	29
ქსანი	10	3	10	05	სუფსა	9	55	10	2
კასპი.	10	33	10	36	ლანჩხუთი. . .	10	35	10	39
გრაკალი . . .	10	59	11	1	ნიგოითი. . .	10	51	10	53
გორი.	11	25	11	40	საჯავახო . . .	11	14	11	16
ქარელი . . .	12	8	12	11	სამტრედია.	11	33	11	51
გომი	12	37	12	41	კოპიტნარი.	12	13	12	16
ხაშური. . . .	1	2	1	17	რიონი.	12	47	1	2
სურამი.	1	29	1	32	აჯამეთი	1	15	1	18
ფონი.	2	—	2	3	ყვირილა. . .	1	58	2	10
ბეჟათუბანი.	2	56	3	16	ძირულა	2	48	2	50
მარელისი . . .	3	45	3	48	ბელაგორი .	3	17	3	20
ბელაგორი. .	4	15	4	18	მარელისი. . .	3	47	3	49
ძირულა.	4	45	4	48	ბეჟათუბანი.	4	18	4	37
ყვირილა. . .	5	26	5	40	ფონი	5	30	5	34
აჯამეთი. . . .	6	14	6	16		ს ა ღ ა მ ო თ ი			
	ს ა ღ ა მ ო თ ი				სურამი.	6	2	6	5
რიონი	6	29	6	44	ხაშური.	6	17	6	32
კოპიტნარი.	7	08	7	10	გომი	6	50	6	54
სამტრედია.	7	29	7	49	ქარელი. . . .	7	16	7	19
საჯავახო. . .	8	5	8	7	გორი	7	44	7	54
ნიგოითი . . .	8	27	8	30	გრაკალი. . . .	8	15	8	17
ლანჩხუთი . .	8	42	8	46	კასპი	8	40	8	43
სუფსა.	9	19	9	27	ქსანი	9	7	9	39
ნატანები. . . .	9	52	9	55	მცხეთა	9	28	9	34
ქობულეთი.	10	22	10	25	ავჭალა.	9	52	9	54
ბათუმი . . .	11	13	—	—	ტფილისი .	10	15	10	46

ქუთაისიდან გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 7 წამზედ და საღამოზედ 5 საათსა და 50 წამზედ.

რიონიდამ ქუთაისს მიდის ნაშუადღევს 1 საათსა და 12 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 55 წამზედ.

ტფილისსა და სურამ შუა

	დ ღ ი ს ი თ					ღ ა მ ი თ			
ტფილისი .	—	—	3	21	სურამი. . .	—	—	2	59
ავჭალა . .	3	46	3	49	ხაშური . .	3	11	3	27
მცხეთა . .	4	19	4	25	გომი . . .	3	50	3	55
ქსანი . . .	4	49	4	52	ქარელი . .	4	24	4	31
კასპი . . .	5	24	5	29	გორი . . .	5	4	5	19
გრაკალი. .	6	—	6	3	გრაკალი . .	5	46	5	5
	ს ა ღ ა მ ო თ ი					დ ი ლ ი თ			
გორი. . .	6	31	6	45	კასპია . . .	6	18	6	24
ქარელი. . .	7	18	7	24	ქსანი. . . .	6	55	6	59
გომი . . .	7	53	8	1	მცხეთ . . .	7	24	7	32
ხაშური . .	8	24	8	38	ავჭალა. . .	7	55	7	58
სურამი . .	8	50	—	—	ტფილისი .	8	24	—	—

სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“

1888 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა ი დღეებისა, რომელნიც ზედ-მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ფ ა ს ი:

12	თვით.	10 მ.—კ.	6	თვით	6 მ.—კ.
11	„	9 „ 50»	5	„	5 „ 25»
10	„	8 „ 75»	4	„	4 „ 75»
9	„	8 „ —›	3	„	3 „ 50»
8	„	7 „ 25»	2	„	2 „ 75
7	„	6 „ 50»	1	„	1 „ 50

საზღვარ-გარედ დაბარებული ეღირება —17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ «ივერია» მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფ ლისის გარეთ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію газеты «ИВЕРІЯ».

თუ ტფილისში დაკვეთილ გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შ ცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლაში დაიკვეთა ვინმე გაზეთი არა მთელის წლ იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდამ გაეგზავნება. განცხ ბანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ.
ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

Доз. цен. Тиф., 19 февраля 1888 г. Типографія А. А. Михельсона, Гол. Проспектъ въ д. Читахова. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე